ტენდი ჯეკსონი

გოჭი გოკა

ილუსტრატორი: **მაიკლ ჯონი**

მე გოკა ვარ, გიოს გოჭი.

როცა გიო სკოლაში მიდის, მე შინ ვრჩები.



გიო ამბობს, რომ ჭკვიანი გოჭი ვარ.

არ მინდა შინ დარჩენა. მეც მინდა სკოლაში!

აბა, გამოიცანით,
ერთ მშვენიერ დღეს
რა გავაკეთე?

დიახაც, ჩუმად
გავყევი გიოს
სკოლაში!





— ჰეი, შეხედეთ!
— დაიყვირა უცებ
ერთმა გოგომ, — აქ
გოჭია!

გიო მოტრიალდა და
მე დამინახა.

— ეს ხომ გოკაა! —
იყვირა გიომ.

კლასში შევიპარე,
სკამზე ავხტი და
მერხთან დავსკუპდი.



— არ დავინახო
სკოლაში გოჭები!
— იყვირა
მასწავლებელმა.

შიშისგან კინაღამ
გული გამისკდა.
გავიქეცი და მერხის
ქვეშ შევძვერი.



ბავშვები ყვირილით
დამდევდნენ
დასაჭერად.
შიშისგან მერხზე
ავხტი. მერე
ჩამოვხტი და
ისევ მერხის ქვეშ
შევძვერი.

ბავშვებმა ახლა სიცილი დაიწყეს. ერთ-ერთი
ატირდა.

უცებ გიომ კუდში ხელი მტაცა. მე გავბრაზდი და
ჭყვიტინი დავიწყე.

— უჰ, დაგიჭირე, როგორც იქნა! ახლავე შინ
წაგაბრძანებ! — მითხრა გიომ.

– აბა, რა ისწავლე დღეს სკოლაში? – მკითხა გიომ საღამოს.

– ვისწავლე, რომ გოჭები სკოლაში არ დადიან! – დავიჭყვიტინე მე და დინგით ფეხზე მოვუღუტუნე.

– ყოჩაღ, გოკა, ნამდვილად ჭკვიანი გოჭი ხარ!

წიგნის სათაური: **„გოჭი გოკა“**

კლასი: **3-4**

ტექსტის ტიპი: **მხატვრული, თხრობითი**

წარმოგიდგენია, რა მოხდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს შენს საკლასო ოთახში გოჭი რომ დაგენახა? რას იფიქრებდი ან როგორ მოიქცეოდი?

წაიკითხე და გაიგე, როგორ აღმოჩნდა ნამდვილი გოჭი სკოლაში და რა ამბები გადახდა თავს.

USAID საბაზისო განათლების პროგრამა

This book has been provided as part of the USAID Basic Education Program in Georgia. It has been adapted from the original story and translated into Georgian.
Original Title: “Poki Pig”, Author: Tandi Jackson. Illustrator: Michael John. Published by Bilum Books, http://bilumbooks.com/ ©Bilum Books. Released under CC BY 4.0.